ს.ს.ი.პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

30.09.2008 №78

(თბილისი)

/„სწავლის საფასურის გადახდის დამატებითი ვადების დადგენის შესახებ“ სტუ-ს №49 (04.06.2008) ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე/

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ამასთან, 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების (საომარი მდგომარეობის) გათვალისწინებით, სტუ-ს სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდის ვადების გაგრძელების მიზნით

ვბრძანებ:

1. სტუ-ს №49 (04.06.2008) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. სტუ-ს სტუდენტებმა 2008 წლის 15 დეკემბრამდე უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხონ ერთი სასწავლო წლის ღირებულების ნახევარი მაინც, ხოლო დარჩენილი სწავლის საფასური სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე.“
2. სტუდენტებისათვის ბრძანების გაცნობა დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს და სტუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობას.
3. ბრძანება განთავსდეს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე - ქ. თბილისი უზნაძის ქ.№52 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი
პროფესორი — ა. მოწონელიძე

ვიზები:
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი — ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი — ბ. მაისურაძე

სტუდენტთა თვითმმართველობის
თავჯდომარე — თ. დუნდუა